

ცნობები არსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ

ცნობები სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი შედგენილ იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3
ჩატარების თარიღი:	2013 წლის 26 დეკემბერი
ჩატარების დრო:	12 საათი
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 99,6377%

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

საკითხი 1. სს „თელასი“-ს წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;

საკითხი 2. სს „თელასი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების თაობაზე;

საკითხი 3. საზოგადოების გასული წლების გამოუყენებელი მოგების განაწილების შესახებ;

საკითხი 4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილებათა ვადამდელი შეწყვეტის შესახებ;

საკითხი 5. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის შესახებ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

I. დღის წესრიგის პირველი საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

«დამტკიცდეს სს „თელასის“ წესდების ახალი რედაქცია დანართის N1 თანახმად.» (თან ერთვის).

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: დამსწრე აქციათა 75,3818%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

სს „საპარტნიორო ფონდი“-ს წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გადაწყვეტილება მიღებულია.

II. დღის წესრიგის მეორე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„დამტკიცდეს სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ დებულების ახალი რედაქცია დანართის N2 თანახმად.“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: დამსწრე აქციათა 75,3818%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

სს „საპარტნიორო ფონდი“-ს წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გადაწყვეტილება მიღებულია.

III. დღის წესრიგის მესამე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

1. განაწილდეს სს „თელასის“ 2010 წლის გამოუყენებელი მოგება შემდეგნაირად:

2010 წლის გამოუყენებელი მოგება (ათასი ლარი) – 19 414;

საინვესტიციო საქმიანობა 2013-2018 წლები: 19 414;

სარეზერვო ფონდი: 0;

დივიდენდები: 0;

გასული წლების ზარალის დაფარვა: 0;

გამოუყენებელი მოგების ნაშთი: 0“.

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: დამსწრე აქციათა 75,3818%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

სს „საპარტნიორო ფონდი“-ს წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გადაწყვეტილება მიღებულია.

IV. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

“სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს ირინა მილორავას შეუწყდეს უფლებამოსილება ვადამდე.“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

V. დღის წესრიგის მესამე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს სს „საპარტნიორო ფონდის“ იურისტი ვახტანგ ჯორბენაძე (დაბ. თარიღი და ადგილი: 15.12.1976წ., საქართველო, თბილისი; საცხ. ადგილი: ქ. თბილისი, დიდმის მას. მე-3 კვ. კორპ. #29, ბინა 51, პირადი ნომერი: 01006008606).“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.